

შპს თბილისი დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია 2018-2024

თბილისი დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია ემსახურება შემდეგი მიზნების განხორციელებას:

1. სასწავლო უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო დონეზე
2. საერთაშორისო კვლევით პროგრამებსა და პროექტებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის გაზრდა;
3. საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის და ადმინისტრაციის თანამშრომელთა გაცვლის მიზნით;
4. სტუდენტთა საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობის გაზრდა;
5. პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;

მიზანი I. სასწავლო უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო დონეზე

1. საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში მონაწილეობა
2. უცხოურ საგანმანათლებლო ვებ გვერდებზე სასწავლო უნივერსიტეტისა და აკადემიური პროგრამების შესახებ ინფორმაციების განთავსება და უცხოელი სტუდენტებისთვის აკადემიური პროგრამებზე მიღების პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

მიზანი II. საერთაშორისო კვლევით პროგრამებსა და პროექტებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობა

სასწავლო უნივერსიტეტის მიზანია მაღალკვალიფიციური კადრების, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევარების და პრაქტიკოსების მოძიება და შენარჩუნება. მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტი გეგმავს და ახორციელებს საერთაშორისო კვლევით პროექტებს.

1. საერთაშორისო კვლევით პროექტებში სასწავლო უნივერსიტეტის მონაწილეობის გაზრდა, საერთაშორისო კვლევითი ფონდების და მათი პროექტების შესახებ ინფორმაციების მოძიება, დამუშავება, პარტნიორების მოძიება და პროექტის დაწერა;
2. ყოველკვარტალურად აკადემიურ პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
3. საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობის გაზრდა და მათი ფინანსური მხარდაჭერა;

- საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის გაზრდა და მათი ფინანსური მხარდაჭერა;
- უცხოეთის სამეცნიერო კვლევით აკადემიებთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება და არსებული კონტაქტების გაძლიერება.
- ახალგაზრდა მკვლევარების წახალისება მონაწილეობა მიიღონ საზაფხულო და ზამთრის სკოლებში საზღვარგარეთ.
- უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი ვებინარების ორგანიზება.

მიზანი III. საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლის მიზნით

სასწავლო უნივერსიტეტის მიზანია ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში და გაზარდოს მათი ჩართულობა, რაც გულისხმობს სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

- ყოველკვარტალურად სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება გაცვლითი პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
- ახალი უცხოური უნივერსიტეტების მოძებნა ან არსებულ პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან ერთად საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების განხორციელება;

მიზანი IV. სტუდენტთა საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობის გაზრდა.

- საზაფხულო და ზამთრის სკოლების დაგეგმვა და ორგანიზება უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან ერთად;
- ახალგაზრდების შესაძლებლობების გაზრდისა და მათი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით უცხოელ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი სოციალური, გარემოსდაცვითი და შემეცნებითი პროექტების განხორციელება;
- პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი ვებინარების ორგანიზება.

მიზანი V. პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;

- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით პარტნიორი უნივერსიტეტების მოძიება;
- პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება, საერთაშორისო აკრედიტაციის მიღება;